პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცრეველთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წლიდან

 კვირა, 12 დეკემბერი, 1948 წ. № 246 (8290). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

რაიონული პარტიული კონფერენციები — მოწოდება (1-ლი გვერდი).

3. მ. მოლოტოვის დარბაზობა მოაწყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

ყველა საწარმოს კოლექტივი უნდა მონაწილეობდეს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში (1-ლი გვერდი).

„უკრაინის მზის ქვეშ აყვავდება ციტრუსოვანთა ბაღები..." (1-ლი გვერდი).

მეცნიერთა კადრების მოამზადება და აღზრდა (3-ე გვერდი).

11-XII მოწოდება (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

5. შველიძე — კინო-ფილმი ნამდვილ საბჭოთა ადამიანზე (მე-3 გვერდი).

ა. ბერთიკაშვილი — ვალერი გრიუსოვი (მე-3 გვერდი).

ა. რჩეულიშვილი — საერთაშორისო ბიმონსლეტა (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

რაიონული პარტიული კონფერენციები

დასასრულს უახლოვდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. დიდი პოლიტიკური აღმავლობით დაიწყო და მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. კონფერენციების დელეგატები სერიოზულად და საქმიანად მსჯელობენ საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტების მიერ გაწეულ მუშაობაზე, ბოლშევიკური პირდაპირობით აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, საბავშვ შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. კონფერენციები ტარდება პარტიული რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების მძლავრი დემონსტრაციის ნიშნით.

ბოლშევიკური პარტია მშრომელთა ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვია ჩვენს სახელმწიფოში. ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, პარტიის ხელმძღვანელობით აშენდა საბჭოთა ხალხმა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო. პარტიის ხელმძღვანელი როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ახლადდგილ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზულ პროგრამას.

ამ ამოცანის ღრმა შეგნებით მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები, მომხსენებლები და დელეგატები აყენებენ იმ ამოცანებს, რომლებიც ამკაფად დგას თვითეული რაიონული თუ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე, სახავენ პარტიული მუშაობის ღონეძიების გზებს. ბოლშევიკური პრინციპულობა, ნაკლოვანებათა დაუფარავი კრიტიკა და თვითკრიტიკა, პარტიული კომიტეტების ამოცანათა სწორი განსაზღვრა—ეს რა ნიშნით მიმდინარეობს რაიონული პარტიული კონფერენციები. არის ცალკეული ნაკლოვანებანიც. ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული თუ საბჭოთა მუშაკის სიტყვა მოკლებული ბოლშევიკურ პრინციპულობას, საკუთარ ნაკლოვანებათა შეგნების გრძნობას. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კონფერენციაზე იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. ნადირაძეკ არ მიიღო კრიტიკა, მან ფაკულტეტის პარტბიუროს მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი მთლიანად პარტიული კომიტეტის სუსტ ხელმძღვანელობას მიაწერა. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი სხვენის მუშაობისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, მაგრამ არ ყოფნის გამბედაობა გააკრიტიკოს საკუთარი ნაკლოვანებები. ასე მოუვიდა სარჩერის რაიონის პროკურორს ამხ. ს. აბრამიშვილს. მან რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საკმაოდ ილაპარაკი იმის შესახებ, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს მიწების მითვისებას, საკოლეურნეო წესდების დარღვევებს. მაგრამ არაფერი თქვა იმაზე, რომ ზოგჯერ თვით პროკურატურა ღროულად არ იღებს ზომებს ამ დამანგრეველ ბოროტებათა წინააღმდეგ, აპიარებს დამნაშავეთა საქმის გამორკვევას.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი წინსული, ნაკლოვანებათა გამოსწორების მტკიცე პირობაა. „მხოლოდ აშკარა და პატიოსანი თვითკრიტიკის პირობებში შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილად ბოლშევიკური კადრები",—ასე გვასწავლის ამხანაგი სტალინი. რამდენად ბოლშევიკურ დამოკიდებულებას გამოეჩენთ სხვებისა და საკუთარი ნაკლოვანებებისადმი, იმდენად უფრო სწრაფად წაკადთ წინ, იმდენად ნაკლები შეცდომები და ხარვეზები გვექნება მუშაობაში. ყველა პარტიული კონფერენცია საღი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით უნდა ჩატარდეს.

პარტია მისი ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს შეუნელებელ ზრუნვას კომუნისტების პოლიტიკური განათლებისათვის, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის, რაც სოციალიზმის მშენებლობის წარმატების ძირითადი პირობაა. რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, საანგარიშო მოხსენებებსა და მოკამათეთა სიტყვებში ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმის იმ მუშაობის ჩვენებას, რასაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან ამ მხრივ. გაკრიტიკებულ იქნას ნაკლოვანებანი. კონფერენციებზე მთელი ძალით უნდა გაისვას ხაზი იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობას, მიეთითოს კომუნისტებს უმნიშვნელოვანეს საწესდებო ვალდებულებაზე — ღრმად დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას, დარაზმონ თავისი რიგები ომისშემდგომი ხუთწლედის სამნახევარ წელიწადში შესრულებისათვის.

პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოცანები წარმატებით რომ გადაჭრას, საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად განამტკიცონ კავშირი მასებთან. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ხელმძღვანელთა გამოცდილება არ ყმარი იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, აუცილებელია შევგასწოთ ჩვენი გამოცდილება მასების გამოცდილებით, პარტიული მასის გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით. პარტიული კონფერენციებიც სწორედ მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების ნიშნით უნდა ჩატარდეს.

პარტიულმა კონფერენციებმა შედგად უნდა მოგვცენ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ხელმძღვანელობის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისადმი, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაძლიერება, პარტიული მასებისა და მშრომელთა კიდევ უფრო მჭიდრო დარაზმვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის გარშემო, სწრაფი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა მოაწყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

10 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა მოაწყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ა. ზაპოტოცკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კლემენტისი, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ი. დოლანსკი, მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ა. კლიმენტი და სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს წევრები ელჩის ბ-ნ ბ. ლაშტოვიჩას მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი ს. ლუმსანი, რუმინეთის სავაჭრო დელეგაციის" მეთაური ბ-ნი ა. ბირლადიანუ, ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნ უ. ტაკი, ავსტრიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი უ. ლა მალფა, პოლონეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი ე. გროსფელდი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი ლი დუ კა და სხვ.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ი. მიკოიანი, კ. ე. ვოროშილოვი, ვ. ა. მალეშევი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ვ. კაფტანოვი, ვ. პ. ბეშჩეკი, ს. ა. აკოფოვი, ა. ბ. ბოლშაკოვი, ნ. ვ. ჩესნოკოვი, სსრ კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ი. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი, ა. ა. გრომეკო, თ. ტ. გუსევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები მ. ა. მენშიკოვი, პ. ნ. კუმიკინი, ი. თ. სემიჩასტნოი და მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ე. ფ. ზლობინი, სსრ კავშირის ელჩები მ. ა. სილინი, ა. ი. ფედოროვი და ტ. თ. ტბიკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი მ. პ. ტარასოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, გენერლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გაუთბინელ და მეგობრული ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ბიბლიოთეკა

ყველა საწარმოს კოლექტივი უნდა მონაწილეობდეს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში



თბილისი. ქარხანა „დინამო" მოეგება ბ. ფიანანიშვილი, რომელმაც შეასრულა 5 წლის და 11 თვის გეგმა.

ფოტო რ. აკოფოვისა

ეკეთესი ხარისხი, მეტი ასორტიმენტი

—გავაძლიერთ ბრძოლა შეკერილი ტანსაცმლის ხარისხის ასამაღლებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად, ვიმუშაოთ რენტაბელურად, მივცეთ საშობლოს ზეგეგმითი დაგროვებანი! — ასეთი საერთო გადაწყვეტილება მიიღეს თბილისის პირველი საკერავი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა სახელოსნო მიტინგზე, სადაც განხილულ იქნა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის საწარმოთა მუშების, ოსტატების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

მოსკოველთა წერილთან დაკავშირებით ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა, მთელმა რიგმა ბრიგადებმა და საამქროებმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის სამწელიწადნახევარში შესასრულებლად ახალი, კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები აიღეს.

ფაბრიკის მე-6 საამქროს კოლექტივმა აკისრა, ისევე როგორც დღემდე, სისტემატურად დიდი გადაჭარბებით შეასრულოს ყოველდღიური გეგმები და ხუთწლიანი გეგმის შესრულება უზრუნველყოს 1949 წლის 1 ივლისისათვის.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა საქართველოს ბოლშევიკების XIV კონგრესისათვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება განაკრძოს შემდგომ თვეებშიც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის სამწელიწადნახევარში შესრულების უზრუნველსაყოფად.

— ჩვენ ბრიგადას უკვე შესრულებული აქვს პირადი ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ მიღწეულს არ დავჯერდებით და მომავალ წელს ორნახევარი წლის გეგმას შეავსრულებთ, — განაცხადა ამკრეფი საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. გ. პაპაკაშვილმა.

მიტინგზე ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სამაგ საამქროს სტახანოველმა მეთუნქმემ ა. სიმონიანმა, რომელსაც 14 წლის ნორმა აქვს შესრულებული, ამკრეფი საამქროს ზეინკლმა ვოსკანეთმა, საიარაღო საამქროს ხარატმა ა. ჯულუხანმ, ამკრეფი საამქროს ზეინკლმა კომკავშირელმა შვეცმა, კომკავშირელმა ჯანკალაშვილმა და სხვებმა.

ავტოსარემონტო ქარხანამ წელს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა — საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულა და დაზოგა ერთ მილიონამდე მანეთი. მოსკოველთა წერილთან დაკავშირებით ქარხნის კოლექტივმა იკისრა მუშობის შემდგომი გაუმჯობესებით უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვოს მომავალ წელს.

თბილისი. კერავის სახელობის ფაბ. გამშვებებები ქარხნის ახალგაზრდა ზეინკალი კ. ბედოშვილი, რომელმაც 1 დეკემბრისათვის შესრულებული აქვს 8 წლის ნორმა.

ფოტო რ. აკოფოვისა

მეტ პროდუქციას, მეტ დაგროვებას მისცემენ სახელმწიფოს

დიდი სტალინისადმი მოსკოველთა წერილის განსახილველად თბილისის სპილენძსადენივ ქარხანაში მოწვეულ მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს მგლინავთა ბრიგადის ბრიგადირმა ნ. შომახიამ, მდნობელმა ე. მიშენკომ, მეთუნქე მ. დავითაშვილმა, გამპრიალებელმა ი. ქვათაძემ და სხვებმა.

— მოსკოველია და მისი ოლქის მშრომელთა უმაღალითო წარმატებანი ახალი შრომითი მამაცობისათვის აღგვაფრთოვანებს, — თქვა კომკავშირელმა მგლინავმა გ. პოდოსოვმა, — წინადადება შემომაქვს ქარხანაში შეიქმნას „ახალგაზრდა გვარდიის" სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც თავისი მაღალნაყოფიერი და ენერგიული შრომით სასახელოდ ატარებს ახალგაზრდობისათვის ამ სასატანო სახელს.

— ჩემი ბრიგადა,—განაცხადა მგლინავთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. შომახიამ, —პირობას იძლევა უფრო განამტკიცოს შრომის დისციპლინა, გადადიოს ნაყოფიერება და ხუთწლედი გათვალისწინებული დავალება შესასრულოს ოთხ წელიწადში.

სპილენძსადენივ ქარხანა მაღალნაყოფიერად მუშაობს, მან 19 ოქტომბრისათვის შესასრულა წლიური გეგმა და 6 ნოემბრამდე გეგმის გადამტებით გამოუშვა ათობით ტონა ფურცლოვანი სპილენძი. ქარხნის კოლექტივმა იკისრა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, ნედლეულის, სათბობისა და ელეტროენერგიის მიმჭირნეობით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით 1949 წელს სახელმწიფოს მისცეს 260 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხანა სავსებით მომზადებულია შეუფერხებელი მუშაობისათვის. ნოემბერში ჩაატარეს ყველა აგრეგატის რემონტი და პირველი დეკემბრიდან ახალი ენერგიით შეუდგენენ მუშაობას, რომ წარმატებით განაღიდონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნაოდ ნაკისრი ვალდებულება — დეკემბრის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო იანვრისა—ყრილობის დახსნის დღისათვის 110 პროცენტით.

დედაქალაქის ნარმაგებანი შრომითი მამაცობისათვის მოგვიწოდებენ

სასიხარულო ცნობას ჩვენი საშობლოს სახელოვანი დედაქალაქის და მისი ოლქის მშრომელთა დიდი საწარმოო გამარჯვების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი.

— ორ წელიწადსა და 11 თვეში ათი წლის გეგმა შევასრულე, — განაცხადა მოსკოველთა წერილის განსახილველად მოწვეულ მიტინგზე საძარე საამქროს ზეინკალმა ამხ. პ. მეზიგულაშვილმა.— პირობას ვიძლევი 1949 წელს კიდევ ერთი პირადი ხუთწლედი შევასრულო.

— მოსკოველთა შესანიშნავი წარმატებანი ახალი შრომითი მამაცობისათვის მოგვიწოდებენ, — ამბობს მექანიკური საამქროს უფროსი ამხ. ვ. ნიფუტკარიძე. — საამქროს კოლექტივის სახელით ვკისრულობ ხუთწლედი შევასრულო სამნახევარ წელიწადში.

— ჩემს ბრიგადას უკვე შესრულებული აქვს პირადი ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ მიღწეულს არ დავჯერდებით და მომავალ წელს ორნახევარი წლის გეგმას შეავსრულებთ, — განაცხადა ამკრეფი საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. გ. პაპაკაშვილმა.

ბრიგადა ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სამაგ საამქროს სტახანოველმა მეთუნქემ ა. სიმონიანმა, რომელსაც 14 წლის ნორმა აქვს შესრულებული, ამკრეფი საამქროს ზეინკალმა ვოსკანეთმა, საიარაღო საამქროს ხარატმა ა. ჯულუხანმ, ამკრეფი საამქროს ზეინკალმა კომკავშირელმა შვეცმა, კომკავშირელმა ჯანკალაშვილმა და სხვებმა.

ავტოსარემონტო ქარხანამ წელს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა — საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულა და დაზოგა ერთ მილიონამდე მანეთი. მოსკოველთა წერილთან დაკავშირებით ქარხნის კოლექტივმა იკისრა მუშობის შემდგომი გაუმჯობესებით უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვოს მომავალ წელს.

„უკრაინის მზის ქვეშ აყვავდება ციტრუსოვანთა ბაღები..."

კიევი, 11 დეკემბერი. (ტელეგრაფით). საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლეურნეობა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ოდესის გარეუბნის რაიონის ყველა კოლმეურნეთა შორის.

ხრუშჩოვის სახელობის ქოხ-ლაბორატორიის გამგემ ამხ. მაქსიმოვმა ქართველი ამხანაგების წერილის წაკითხვის შემდეგ თქვა:

— სულით და გულით მადლობელი ვართ ჩვენი მეგობრებისა მათი დახმარებისათვის, რომ უკრაინის ველებში გაავაშენთ მანდარინის პლანტაციები, დავრგოთ ლიმონები. ჩვენ მთელი ძალებით შევეგებრძოლებით ბუნებას, მივაღწევთ გამარჯვებას, შევასრულებთ დიდი სტალინის მითითებებს, გავაფართოებთ საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრებს, გაეზრდით ჩვენი მშობლიური უკრაინის სიმდიდრეს. უფრო უკეთესს, უფრო სასმენს გაეზდით ჩვენს ცხოვრებას საბჭოთა მიწაზე.

ოდესის გარეუბნის რაიონის 21 კოლმეურნეობამ გადაწყვიტა მომავალი წლის გაზაფხულიდან ნაგაშენოს სუბტროპიკული კულტურების პირველი ნაკვეთები, მზრუნველობთა და სიყვარულით მოეფაროს მათ.

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ახლა ამეშავებენ ახალი კულტურების გაშენებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დიდი აღფრთოვანებით იხილავენ საბპასუხო წერილ ქართველი კოლმეურნეებისადმი.

ყველა კოლმეურნე ითხოვს, რომ მხურვალე სალამი და მადლობა გადასცენ ქართველ ძმებს ზრუნვის, ყურადღებისა და დახმარებისათვის.

— გადაეცით ჩვენს ძვირფას მეგობრებს, — ამბობენ ისინი, — რომ ჩვენ ბარასოდეს არ დავიიწყებთ მათს დახმარებას და ამსგავდ გადაუხდიდეთ.

პირობას ვიძლევთო, რომ ჩვენს მიწაზე არ დაიღუბება არც ერთი ნერგი იმ 10 ათასი ნერგიდან, რომლებიც ჩვენთვის გამოყოფთ მახარაძელ კოლეურნეებს. მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ სანმაგშოდ შეავსრულოთ სტალინური დავალება — დავნერგოთ სუბტროპიკული კულტურები ჩვენი დიდი, მშვენური სამშობლოს ახალ რაიონებში.

უკრაინის მზის ქვეშ აყვავდება ციტრუსოვანთა ბაღები.

გაზეთ „პრავდა უკრაინის" რედაქცია

1949 წლის 6 თებერვალს აფხაზეთის ასსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებია

სოხუმი, 11 დეკემბერი. (საქდესი). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 10 დეკემბრის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები დანიშნა 1949 წლის 6 თებერვალს.

ქუთაისის, ფოთისა და ზესტაფონის რაიონის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ზეგეგმითი დაგროვების ვალდებულებები

ქალაქ ქუთაისის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას მისცეს 15,4 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 11,8 მილიონი მანეთისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ნარსიამ** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ ქალაქის საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კოლექტივებმა იკისრეს ახალი ვალდებულება: მიმდინარე წლის ბოლომდე მიაღწიონ დამატებით 4 მილიონ მანეთ ზეგეგმით დაგროვებას.

* * *

ქალაქ ფოთის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის 10 განვლილ თვეში მიაღწიეს 5.623 ათასს მანეთ ზეგეგმით დაგროვებას, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.771 ათასი მანეთისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. კოკაია** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ ფოთის საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს მიმდინარე წლის ბოლომდე დამატებით მისცენ ჩვენს ქვეყანას სულ ცოტა 1.200 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

* * *

ზესტაფონის რაიონის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის 10 თვეში მიაღწიეს 6,6 მილიონ მანეთი ზეგეგმით დაგროვებას, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 3,8 მილიონი მანეთისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. **ს. საყვარელიძემ** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ რაიონის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვენს ქვეყანას მისცენ დამატებით სულ ცოტა 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის რეჟიმის შესახებ

1948 წლის 9 დეკემბერს მოსკოში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის რეჟიმის შესახებ.

ხელშეკრულებას ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ი. ვ. მავეესკი (სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო) და პოლკოვნიკი მ. ვ. პეტრუნკინი; ფინეთის მხრივ — ბენსდორფ ილმარი და კ. სომეტრო.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ

არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს ხანში კიდევაც გავუსწროთ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ — ასეთი ამოცანა დაუსახა საბჭოთა მეცნიერებს პარტიისა და ხალხის დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაბეჯითებით მოითხოვს მეცნიერთა ...

... შიდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადისერტაციო თემების შერჩევას. ნაწილობრივ ეს შერჩევა ხშირად განსაზღვრავს მეცნიერის მთელ მომავალ სამეცნიერო პროფილს. ყოველი დისერტაცია საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკაში შეტანილი წვლილი უნდა იყოს. ...

... ობის ინსტიტუტში ხუთი წლის მანძილზე ასპირანტურა... ერთმა კაცმა დაამთავრა. უმაღლესი განათლების სამინისტროს აღმოსავლეთის მცოდნეობის ინსტიტუტში 1943 წლიდან 1948 წლამდე დისერტაცია არც ერთ ასპირანტს არ დაუცავს. ასპირანტების სწავლა სუსტად არის მოწყობილი ენერგეტიკულ ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, მოსკოვის უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე.

ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადება- ... დივიდუალური ანგარიშები თავიანთი მუშაობის შესახებ — ყოველივე ეს გულმოდგინე და ამხანაგური მსჯელობის საგანი უნდა იყოს პარტიულ ორგანიზაციებში.

მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ახალ-ახალი წარმატების მოპოვებას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ბრძოლის ყველა უბანზე.

„პრავდის" 11/XII მოწინავე

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლამაზად მორთულ ოთახში თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომუნისტი მემანქანეები იკრიბებოდნენ. ოთახში მოწყობილია მასალების გამოფენები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. ...

დაიწყო ახალი მასალის ახსნა. პროპაგანდისტი შეეხო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებას, პარტიის ტამერფორსის კონფერენციას, რევოლუციის უკანდახევას, პარტიის IV გამაერთიანებელ ყრილობას, პარტიის V ყრილობას, ...

წრის მსმენელები, კომუნისტი მემანქანეები კიკნაძე, სიმონიძე, ტაბატაძე და ფხაკაძე სხვებისაგან გამოირჩეოდნენ აქტიობით მაგრამ მათაც აშკარად ეტყობოდათ, რომ წამოჭრილი საკითხების საფუძვლიანი ცოდნა არ ჰქონდათ.

ათწუთიანი შესვენების შემდეგ მეცადინეობა განახლდა.

... ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ მსმენელებს შევასწავლით წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, კონსპექტების შედგენას, თვალსაჩინო მასალების მიწოდებით, მხატვრული ლიტერატურიდან შესაფერისი ადგილების მითითებით დავეხმარებით მათ განიმტკიცონ მეხსიერებაში ისტორიული ფაქტები.

ი. მახარაძე

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ

საჩხერის IV რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ბერაძე.

მომხსენებელმა დაახასიათა ის მუშაობა, რაც რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის ...

... თეთა უმრავლესობის გამოსვლები კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონის პროკურორმა ამხ. ს. აბრამიშვილმა მოიყვანა საკოლმეურნეო წესდების დარღვევის, მიწებისა და პროდუქტების მითვისების მრავალი ფაქტები, მაგრამ თითქმის არაფერი თქვა იმაზე, რომ ...

... ციული მუშაობის საკითხებზე, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისადმი და კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ციმაკურიძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25 ამხანაგმა. ...

ახლად არჩეული რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ბერაძე, მეორე მდივნად — ამხ. დ. გოქსაძე და მდივნად კადრების დარგში — ამხ. ე. კაპანაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრი ამხ. გ. ი. კიკნაძე. (**საქ. კორ.**).

ᲖᲜᲐᲣᲠᲘ

ზნაურის მეათე რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სანაკოევმა.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა რაიონის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე, რის შედეგადაც წლითიწლობით ვითარდება სოციალისტური მეცხოველეობა, მრავლდება მოწინავე კოლმეურნეობათა რიცხვი. მოხსენებაში დაწვრილებით იყო გაშუქებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოგომარეობა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სამხრეთ ოსეთის XIX საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

შემდგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. სანაკოვი, მეორე მდივნად —ამხ. ს. ჯიოევი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ი. ქოქოევი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მედოევი. (**საქ. კორ.**).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

... რული ცოდნის გავრცელების საქმეში. წაკითხულია 1.679 ლექცია პარტიის ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, სსრ კავშირის ისტორიის, საერთაშორისო, ლიტერატურის, პედაგოგიკის, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხებზე. ბოლო თვეებში გაძლიერდა მიჩურინ-ვილიამს-ლისენკოს აგრონომიული მეცნიერების პოპულარიზაცია მასებში.

პლენუმმა აღნიშნა ნაკლოვანებანი, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ არასაკმაო ყურადღება ეთმობა ლექციების მოწყობას ტექნიკისა და ... საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ხატიაშვილი.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა დააყენეს საკითხი სოფლად გამოჩენილ მეცნიერ მუშაკთა მივლინებისა და მიჩურინ-ვილიამს-ლისენკოს აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა პოპულარიზაციის მიზნით ლექციების მოწყობის შესახებ კოლმეურნეებში.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ᲙᲘᲜᲝ-ᲤᲘᲚᲛᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ

თბილისის კინოთეატრებში ამჟამად უჩვენებენ. მოსკოვის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის" ახალ მხატვრულ ფილმს „ამბავი ნამდვილი ადამიანისა".*) ეს შესანიშნავი ფილმი დადგმულია სტალინური პრემიის ლაურეატის მწერალ ბ. პოლევოის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მი- ...

... ფილმის წარმტაცი და მომხიბლავი ძალა, რაც ბ. პოლევოის ნაწარმოებს ახასიათებს, შეძლო სიმართლით და მკაფიოდ ეჩვენებინა საბჭოთა მფრინავის პატრიოტიზმი, მისი უმაგალითო მამაცობა, მტკიცე ნებისყოფა და მაღალი მორალური თვისებები.

ფილმის სიუჟეტი, ისევე, როგორც ნაწარმოებისა, რთული არ არის. 1942 წლის 15 მარტს მტერთან საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა მფრინავი-გამანადგურებელი ალექსეი მერესიევი. დაჭრილი მფრინავი ფრონტის ხაზიდან დაშორებით, მტრის ზურგში აღმოჩნდა. მოტეხილი ფეხებით, ღრმა თოვლსა და უღრან ტყეში იგი გზას იკვლევს ფრონტის ხაზისაკენ. თვრამეტი დღის განმავლობაში ებრძოდა მერესიევი ბუნების სტიქიონს. აუტანელი ტკივილებისა და შიმშილისაგან ღონემიხდილი იგი უკანასკნელად ხოხვით განაგრძობდა წინსვლას.

... ბა. მას უნდა სიცოცხლე მებრძოლთა შორის, ცეცხლის ხაზზე. არ სურს გამოიყიდეს მწყობრიდან, მაშინ როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი იბრძვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მერესიევი შეუპოვრად სწავლობს პროტეზით სიარულს და ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ სრულიად თავისუფლად დადის. ის დაბეჯითებით არწმუნებს საექიმო კომისიას, რომ თავისუფლად შეუძლია ფრენა. მალე მერესიევი უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს და კვლავ დგება მამაც მფრინავ-გამანადგურებელთა რიგებში. მერესიევი პირველსავე საჰაერო ბრძოლაში გამოიჩენს გმირობას. ბრძოლის დროს გადაარჩენს ამხანაგს და ჩამოაგდებს მტრის ორ თვითმფრინავს.

მერესიევის გმირობა, ისე როგორც ათასობით სხვა საგმირო საქმე, მახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის.

ფილმის იდეურ-მხატვრული ღირსება იმითაც აიხსნება, რომ მასში მთავარ გმირთან ერთად ნაჩვენები არიან საბჭოთა ადამიანები, — არაჩვეულებრივად გულისხმიერი და მგრძნობიარე ადამიანები, რომლებიც უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მერესიევის მიმართ. საბჭოთა ადამიანები დაეხმარნენ მერესიევს დასახული მიზნის განხორციელებაში.

... ჩაუქრობელი ცეცხლი აინთება..

ვორობიოვი მოაგონებს მერესიევს მწერალ ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრებას, შემდეგ კი აძლევს ძველ ჟურნალს, სადაც აღწერილია რუსი მფრინავის ვალერიან კარპოვიჩის საბრძოლო ისტორია. პირველი მსოფლიო ომის დროს კარპოვიჩმა დაკარგა ფეხი და დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ მიაღწია იმას, რომ პროტეზით კვლავ ჩადგა მწყობრში, როგორც მფრინავი.

— მან ცალი ფეხი დაკარგა, ამბობს მერესიევი, — მე კი ორივე...

— მერე შენ ხომ საბჭოთა ადამიანი ხარ! — ეუბნება ვორობიოვი ყველასათვის საამაყო და ძვირფას სიტყვებს.

საბჭოთა ადამიანის ძალის უდიდესი რწმენა ცოცხლობს კომისრის სულში და ამ რწმენას უნერგავს იგი მებრძოლებს. ამ რწმენით იმარჯვებს მერესიევი ერთი შეხედვით გადაულახავ დაბრკოლებებთან ბრძოლაში.

... აღზრდილი ჩვენი საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს, იძლევა სტალინური შევარდნის წარმტაც სახეს.

ბოლშევიკი კომისრის ვორობიოვის დაუვიწყარ სახეს ქმნის ნ. ოხლოპკოვი. იგი მშვენივრად განასახიერებს ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამობრძმედილი ძველი ბოლშევიკის სახეს. დანარჩენ როლებს შესანიშნავად ასრულებენ: ა. დიკი (მთავარი ქირურგი ვასილ ვასილევიჩი), ვ. მერკურევი (სტეპან ივანოვიჩი), თ. მაკაროვა (კლავდია მიხაილოვნა), ლ. ცელიკოვსკაია (ზინოჩკა), ლ. სვერდლინი (ნაუმოვი), ბ. დობრონრავოვი (საექიმო კომისიის თავმჯდომარე), ბ. ბაბოჩკინი (საავიაციო პოლკის მეთაური), ვ. ხოხრიაკოვი (დეჭტიარენკო).

სურათის წარმატებას ხელს უწყობს ოპერატორ მ. მაგიდსონის მიერ დიდი ოსტატობით გადაღებული კადრები. ფილმს „ამბავი ნამდვილი ადამიანისა" საბჭოთა მაყურებელი გულთბილად შეხვდა. ჩვენი ახალგაზრდობა ეკრანზე ხედავს იმ საყვარელ გმირებს, რომელთა საგმირო საქმეები თვდავიწყებამდე იტაცებდა და აღელვებდა მათ ნაწარმოების კითხვის დროს. ფილმი „ამბავი ნამდვილი ადამიანისა" საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალი გამარჯვებაა.

ნ. შველიძე

*) ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის" ნაწარმოები. სცენარი მ. სმირნოვასი, დადგმა ა. სტოლპერის, მთავარი ოპერატორი მ. მაგიდსონი, მხატვარი ი. შპინელი, კომპოზიტორი ნ. კრიუკოვი.

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ Ქ. ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

... ბაზში ამ დღეს შედგა აზერბაიჯანის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან ერთად. მქუხარე ტაშით საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე აზერბაიჯანის და საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელები ამხანაგები ბაგიროვი და ჩარკვიანი.

... „ხევისბერი გოჩადან", რომელიც ინსცენირებული იყო ნ. სიდამონიძის მიერ.

კონცერტი დამთავრდა ქართული ცეკვითა და სიმღერებით.

ალ. ყაზბეგისადმი მიძღვნილი საღამო ბაქოში ჩატარდა ქართველი, აზერბაიჯანელი და დიდი რუსი ხალხის ურღვევი სტალინური მეგობრობის ნიშნით.

ვ. სულუხია, ი. მესტვირიშვილი, ვ. ნასარიძე

ბაქოს ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეთა მშობლები.

ვალერი ბრიუსოვი

(დაბადების 75 წელი)

1905 წლის დეკემბერს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულ „Stephanos"-ის წინასიტყვაობაში ვალერი ბრიუსოვი წერდა:

„საწყალო ჩემო წიგნო! მკითხველს გაწოდებ იმ დროს, როცა მას დამშვიდებული ფიქრის და ძველთა-ძველი სიხარულის და კაეშნის ჰანგები კი არა სჭირდება, არამედ ბრძოლის ჰიმნი და ბუკის ხმა. შენ ემსგავსები, ჩემო წიგნო, იმ შმაგ მომღერალს, რომელიც სროლისაგან კვამლით დაბურულ ბრძოლის ველზე გამოვიდა მხოლოდ ქნარით. ერთნი გვერდზე ჩაგივლიან და არ შეგამჩნევენ, მეორენი მოგიშორებენ და წამოიძახებენ: „მაგისი დრო არ არის", მესამენი კრულვას შემოგითვლიან, რომ იარაღი არა გაქვს ხელში. ისინი მართალნი არიან. შენ დღეს არავის ესაჭიროები. მშვიდობით, ჩემო წიგნო! შენ ჩემგანაც შორსა ხარ! დადგა დრო ბრძოლების საყვირისა და შეტაკებათა სიმღერისა".

სიმბოლისტების მედროშემ და თეორეტიკოსმა, რუსეთის სიმბოლისტების ყოველთვიურ ჟურნალ „ვესის" სულისჩამდგმელმა ვალერი ბრიუსოვმა პირველი რევოლუციის აღმავლობის ჟამს შეიგრძნო, რომ მისი განყენებული ესთეტიკური სიმბოლისტური პოეზია საჭირო არ იყო იმ ხალხისათვის, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა და მონობის უღლის დამსხვრევას ლამობდა.

რევოლუციის სიდიადე უცბად არ შეუგრძვნია ბრიუსოვს. ყოფილი ვაჭრის შვილიშვილი, 60-იანი წლების რადიკალურად მოაზროვნის შვილი ვალერი ბრიუსოვი პისარევის, ჩერნიშევსკის და სხვათა მატერიალისტურ იდეებზე იყო აღზრდილი და ნეკრასოვის, ხალხის ტანჯვა-ვაების ამ მგოსნის, სამოქალაქო მოტივებით გატაცებული.

წმინდა სიმბოლისტური ლექსების გვერდით სიჭაბუკისას ჩანერგული იდეები დროდადრო გამოხატულებას პოულობდა ბრიუსოვის ისეთ ლექსებში, როგორიცაა 1902-1903 წლებში დაწერილი „სიმღერები", „კალატოზი" და სხვ.

თუ რას უმზადებდა მეფის მთავრობა ხალხს, დიდი განწყობილებით არის გადმოცემული ბრიუსოვის „კალატოზში":

— კალატოზო, ჰე თეთრ ფუშტამლიანო!
რას აკეთებ? მაგ სახლს ვისთვის აშენებ?
— ხელს ნუ მიშლი, კარგო ადამიანო,
საპყრობილეს, საპყრობილეს ვაშენებ.

თუ პირველი რევოლუციის ჟამს ბრიუსოვი ხოტბას ასხამს რევოლუციის სიდიადეს და მოუწოდებს „აღზნებულ დღის შვილებს" აჯანყებისაკენ, 1905 წლის რევოლუციის დამარცხება ბრიუსოვში კვლავ მოდუნებას იწვევს და ბრძოლის ყიჟინის უიმედობის ჰანგები ცვლიან. თუ პირველმა რევოლუციამ ბრიუსოვის პოეზიას დროებით სწორი მიმართულება მისცა, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ გაათავისუფლა იგი იმ უიდეო პოეზიისაგან, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც იყო. ძველი მწერლებიდან ბრიუსოვი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც თავიდანვე შეიგრძნო ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე და მისი ცხოველმყოფელი ძალა. დიდი ოსტატი გვერდში ამოუდგა ახალგაზრდა მწერლებს, მშრომელი მასების ტრუბადური შეიქმნა და ახალ ქვეყანას უმღერდა:

Мир прежний сякнет, слаб и тленен,
Мир новый—общий океан,—
Растет из бурь Октябрьских Ленин
На рубеже, как великан.

1919 წელს ვალერი ბრიუსოვი ლენინ-სტალინის დიდი პარტიის რიგებში შევიდა და ახალგაზრდული გატაცებით იღწვოდა განახლებული ქვეყნის ლიტერატურულ ფრონტზე. ოქტომბრის ეპოქის ბრიუსოვის ლექსებში „ინტელიგენტ ძმებს", „გამოხმაურება" და სხვ. მკვეთრად გაისმის დიდი პოეტის ხმა პროლეტარულ მწერლებთან ერთად. თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი ბრიუსოვი კარგად გრძნობდა, რომ ქვეყნის სამსახურში პოეტმა მარტო პოეზიით არ უნდა შემოფარგლოს, პოეტი-მოქალაქე პრაქტიკულად უნდა ჩაებას განახლებული ქვეყნის საქმიანობაში. და აი ბრიუსოვი ხელმძღვანელობს განათლების სახალხო კომისარიატის ბიბლიოთეკების განყოფილებას, განაგებს ლიტერატურულ განყოფილებას, წევრია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსი და სხვ.

ლექსის დიდი ოსტატისა და ნოვატორის, რუსულ პოეზიაში „თავისუფალი ლექსის" დამამკვიდრებლის, მარმარილოს და ბრინჯაოს პოეტის, როგორც მას კრიტიკოსები უწოდებდნენ, ბრიუსოვის ღვაწლი დიდია.

დიდი ოსტატის ხელი ატყვია ბრიუსოვის მიერ თარგმნილ უცხოეთის პოეზიის ნიმუშებს. ყურადღებას იქცევს ბრიუსოვის ისტორიულ ფონზე გადმოცემული რომანები („გამარჯვების საკურთხეველი" და სხვ.) და დიდი სიყვარულით და მეცნიერულად დამუშავებული გამოკვლევანი პუშკინზე („პუშკინის ლიცეის ლექსები", „პუშკინის დამოკიდებულება მთავრობასთან", „პუშკინი ყირიმში" და სხვ.).

1923 წელს, ბრიუსოვის დაბადების 50 წლისთავზე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა ძველმა ბოლშევიკმა, გადასცა რა ბრიუსოვს საპატიო სიგელი, ასე მიმართა მას: „როდესაც ჩვენ იატაკქვეშ ვმუშაობდით, როცა თვითმპყრობელობის საძირკველს ვანგრევდით, ჩვენ გვესმოდა ბრიუსოვის მისასალმებელი სიტყვები. როცა იატაკქვეშეთიდან გამოვედით, ჩვენ ნაკლებ გვესმოდა თანაგრძნობის ხმები იმ წრიდან, რომელსაც ეკუთვნოდა ბრიუსოვი, მაგრამ მაშინაც ბრიუსოვის ხმა ძველებურად გაისმოდა და გვამცნობდა, რომ იგი ჩვენი მომხრე იყო, და, ბოლოს, როცა შევუდექით ახალი ცხოვრების შენებას, ვნახეთ, რომ ბრიუსოვი ჩვენთან მუშაობს. აი ამიტომ დამავალა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მაგრად ჩამოვართვა ხელი ბრიუსოვს და გადავცე მას ეს სიგელი".

ახალგაზრდობისას ბრიუსოვი ნეკრასოვის დიდ გავლენას განიცდიდა და ამ უკანასკნელის ძახილზე:

არ გევალება შენ პოეტობა, —
მოქალაქე კი მუდამ გდევს ვალი

ბრიუსოვს შეეძლო თამამად ეთქვა— ის პოეტიც იყო და თავისი დიდი განახლებული ქვეყნის ღირსეული მოქალაქეც. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ ბევრის შემძლე პოეტი-მოქალაქის უდროო სიკვდილმა 1924 წლის 9 ოქტომბერს დაამწუხარა ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ერის კულტურა და მისი კეთილდღეობა.

ა. ბურთიკაშვილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პროექტის შესახებ

[illegible]

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

[illegible] ... ცვლილებებს, თითქოს მოსალოდნელის ფართო წრეებისათვის მათი აზრის გამოსახატავად მატერიალური საშუალებების მიცემა იქნება... სახელმწიფოს მხრივ ხელყოფა აზრის თავისუფლებისა. სინამდვილეში კი ამ წინადადების უარყოფის აზრი ის არის, რომ ხალხის მასებს მოუსპონ შესაძლებლობა აწარმოონ თავისი, კაპიტალისტური საგაზეთო მონოპოლიებისაგან დამოუკიდებელი, კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მუშაობა, მიმართული ხალხის ფართო მასების ინტერესების დაცვისაკენ.

მეოთხე მაგალითი. პროექტის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „თვითეულ ადამიანს აქვს მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება". სსრ კავშირის დელეგაცია აღნიშნავდა, რომ ეს ფორმულირება საკმაო არ არის, და წინადადებას იძლეოდა ნათქვამი ყოფილიყო: „დემოკრატიის ინტერესებისათვის კანონით უზრუნველყოფილი უნდა იქნას კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა და კავშირების შექმნის თავისუფლება. ფაშისტური ან ანტიდემოკრატიული ხასიათის ყოველგვარი საზოგადოება, კავშირი ან სხვა ორგანიზაცია, ისევე როგორც მათი ყოველგვარი სახის საქმიანობა, კანონით აკრძალულია დასჯის მუქარით". ეს წინადადებანი უარყო კომიტეტის უმრავლესობამ, რომელსაც, ერთი მხრივ, საშიშად ან არასასურველად მიაჩნია მშრომელთა ქუჩაში მსვლელობა და დემონსტრაციები, რაც პრაქტიკულად მთელ რიგ ქვეყნებში ძალიან არასასიამოვნო დაპრკოლებებს აწყდება, ხოლო, მეორე მხრივ, არ სურს აკრძალოს ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობა.

— დამახასიათებელია, — თქვა ვიშინსკიმ, — რომ კომიტეტში ჩვენ წავაწყდით ისეთ უცნაურ წინააღმდეგობას, როგორიც მაგალითად, განცხადებას, რომ „ცნება ფაშიზმი საკმაოდ ნათელი არ არის". ამგვარი ყალბი მსჯელობა მიმართულია იქითკენ, რომ ჩაფუშონ ფაშისტური ორგანიზაციების აკრძალვის მოთხოვნა, რაც შესაბამება ხალხის საარსებო ინტერესებს. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ საკმაოდ ღრმა ჭრილობები დატოვა დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სხეულზე, რომ შეიძლებოდეს ასეთი მოურიდებლობით მოიყვანონ აშკარად ხელოვნური დამოწმება, რომ ფაშიზმის ცნება თითქოს გარკვეული და ნათელი არ არის.

მეხუთე მაგალითი. პროექტის 28-ე მუხლის პირველ პუნქტში ლაპარაკია თვითეული ადამიანის უფლებაზე თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, „დასტკბეს ხელოვნებით, მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ პროგრესში და ისარგებლოს მისი სიკეთით" და ა. შ. სსრ კავშირის დელეგაცია, გარდა ამისა, წინადადებას იძლეოდა, რომ „მეცნიერების განვითარება [illegible] ... ბის მეორე ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით არსებითია და შეიცავს სახელმწიფოს და საზოგადოების მოვალეობას მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლოც, რათა თვითეული ადამიანისათვის უზრუნველყოს დეკლარაციაში აღნიშნული უფლებებით სარგებლობის რეალური შესაძლებლობა.

ასეთი მოქცევით კომიტეტის უმრავლესობა სჯერდებოდა ზოგად სურვილებს, ლოზუნგებს, [illegible] ... მაგრამ იგივე ჩვენ გვესმოდა მაშინაც, როცა ფაშისტები ავრცელებდნენ ჰიტლერის წიგნს „მაინ კამპფს" და აჩაღებდნენ თავიანთ კაცთმოძულეობის პროპაგანდას. შესძლით მაშინ აღგეკვეთათ ჰიტლერული ჭირის შემოსევა? არა, არა და არა. სანამ თქვენ ფილოსოფიურად ჰვრეტდით, ფაშისტი ყაჩაღები დანას ლესავდნენ და აგროვებდნენ თავიანთ ბანდებს, რომლებმაც შემდეგ გაილაშქრეს ჩვენი ქვეყ- [illegible] ... პოლიტიკურ მოთხოვნა განსაკუთრებული ოპოზიციით, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში არ შეეტანათ განსაკუთრებული დებულება უმცირესობათა საკითხის გამო და ამ საკითხზე არსებული ტექსტი გადაეცათ ეკონომიური და სოციალური საბჭოსათვის. ამრიგად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღარ დარჩა მუხლი, რომელიც შეესაბამება მრავალმილიონიანი მასების სურვილებს, მასებისა, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს სხვადასხვა ქვეყანაში.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანებაა ყველა მოქალაქის, მიუხედავად რასის, ეროვნების, სქესის, წოდების, რელიგიისა და ენისა, სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპის თანმიმდევრულ გატარებაზე უარის თქმა. ამას უნდა დაემატოს პროექტის ისეთი არსებითი ნაკლიც, როგორიც არის სახელმწიფოთა სუვერენული უფლებებისა და ინტერესების უგულებელყოფა, როგორც ამან გამოხატულება ჰპოვა მე-14 და მე-20 მუხლებში.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაციის ზემოაღნიშნულ შესწორებათა უარყოფამ პროექტის გაუარესება გამოიწვია. საბჭოთა დელეგაციის ზოგიერთ ნაკლებმნიშვნელოვან წინადადებათა მიღებას, რომლებიც ნაწილობრივ აუმჯობესებენ პროექტს, არ შეეძლო მთლიანად ამ პროექტის საერთო არადამაკმაყოფილებელი ხასიათის შეცვლა.

— ყველა ეს ნაკლოვანება, — დაასკვნა ვიშინსკიმ, — შესაძლებლობას არ იძლევა ვცნოთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პროექტი იმ მოთხოვნების შესაბამისად, როგორიც ასეთ დოკუმენტს წარედგინება. აი რატომ იყო შეცდომა, როცა ასეთ აჩქარებას იჩენდნენ, ეს პროექტი მიეღებინებინათ ამ სესიაზე მთელ რიგ მის მუხლებში სერიოზული გაუმჯობესების შეუტანლად. მაგრამ პროექტის ასეთ გაუმჯობესებას რომ მივაღწიოთ, საჭიროა დრო. აი რატომ მოითხოვს სსრ კავშირის დელეგაცია—არ იქნას იგი მიღებული ახლა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღება გადაიდოს გენერალური ასამბლეის მეოთხე, მორიგ სესიამდე.

ვიშინსკის სიტყვა ცოცხალი ინტერესით მოისმინა საზოგადოებამ, რომელმაც, მიუხედავად გვიანი დროისა, აავსო სტუმრების ყველა ადგილი და რომელიც ამ სიტყვას ტაშით მიესალმა.

საბჭოთა დელეგატის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ლიბანის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩილის, ფილიპინებისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებმა. მათი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საერთაშორისო მიმოხილვა

უთანხმოება ლეიბორისტთა რიგებში

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება ლეიბორისტული მთავრობის რეაქციული ბუნება. ინგლისელ ხალხს, როცა იგი საპარლამენტო არჩევნებში ხმას არ აძლევდა ჩერჩილსა და მის პარტიას, იმედი ჰქონდა, რომ ახალი მთავრობა დაგმობდა კონსერვატიული პარტიის აგრესიულ პოლიტიკას. ნამდვილად ასე როდი მოხდა. ლეიბორისტული მთავრობა განაგრძობს კონსერვატიული პარტიის საგარეო პოლიტიკას და ქვეყანას ახალი დაპყრობითი ომისათვის ამზადებს. მან მორჩილად გაუწოდა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულ წრეებს, სიხარულით მიიღო „მარშალის გეგმა", ფართოდ გაუღო კარი უოლ-სტრიტის კაპიტალს და დაიწყო ყოველგვარი „ბლოკების" შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. „ლეიბორისტული მთავრობის სამი წლის მმართველობის შედეგად, — თქვა ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა, — ინგლისი აღმოჩნდა ისეთ სამწუხარო მდგომარეობაში, როცა იგი მრავალი მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტს წარმოადგენს".

ამერიკელ მონოპოლისტთა იდეალია ახალი დაპყრობითი ომი. მათი მისწრაფება აშკარად გამოხატა ამერიკის გენერალური შტაბის უფროსმა ბრედლიმ, როცა განაცხადა: „შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ, გვქონდეს ატომური ბომბის ჩვენი მარაგის იმედი".

ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ასიამოვნოს ამერიკელ მბრძანებლებს. ამას ახლა ინგლისში როდი ფარავენ. ოქსფორდის უნივერსიტეტის კლუბში ლეიბორისტმა პლეტს მილსმა განაცხადა, რომ ინგლისი ფაქტიურად „შევა ამერიკის უღელში". ბევინი ყველა მის საჯარო გამოსვლას მარშალს უთანხმებს. „ჩვენი კაბინეტი, — განაცხადა ბევინმა, — საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მისი წინასწარი მოწონების გარეშე". ინგლისი ისწრაფვის ერთიორად დააჩქაროს ზოგიერთი ტიპის ავიაგამანადგურებლების გამოშვების ტემპი, ფიქრობს დიდი არმიის შექმნას ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკაში, მას განზრახული აქვს 400 პროცენტით გაადიდოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის რეზერვები.

პირველ დეკემბერს თემთა პალატამ დაიწყო მთავრობის ნაციონალური სამხედრო ვალდებულების კანონპროექტის განხილვა. ამ კანონის პირველი მუხლი ითვალისწინებს არმიაში სამსახურის ვადის 12-დან 18 თვემდე გადიდებას. დამახასიათებელია, რომ აღნიშნულმა კანონპროექტმა ლეიბორისტთა ერთი ჯგუფის დიდი პროტესტი გამოიწვია. „ობსერვერის" პოლიტიკური მიმომხილველი ლეიბორისტთა ამ ჯგუფის პროტესტის გამო წერდა, რომ მთავრობა მას დიდ ყურადღებას არ აქცევს, რადგან არ არის „დიდი ამბოხების საშიშროებაო". სინამდვილეში მდგომარეობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა. ჩერჩილისა და მისი მოწაფეების ზეგავლენით მთავრობის მიერ შემუშავებულმა სამხედრო ვალდებულების კანონპროექტმა ფართო უკმაყოფილება გამოიწვია. 38 ლეიბორისტმა თემთა პალატაში ხმა მისცა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ. მის წინააღმდეგ ხმა მისცა აგრეთვე თემთა პალატის სხვა 13 წევრმა. 100 ლეიბორისტი შეგნებულად არ დასწრებია სხდომას და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. დეპუტატმა ელის სმიტმა, რომელმაც საპროტესტო რეზოლუცია შეიტანა, მთავრობის წინაშე დააყენა საკითხები: რატომ სურთ მინისტრებს არმიის გადიდება? რატომ არის, რომ ინგლისში იმყოფებიან ამერიკელი მფრინავები, როცა ინგლისელებს უცხო ქვეყნებში უხდებათ სამსახური? შემდეგ სმიტმა მრავალი ლეიბორისტის მოწონებით წარმოთქვა: „უყოყმანოდ ვაცხადებ, რომ ეს არ არის ლეიბორისტული პოლიტიკა!"

7 დეკემბერს, როცა თემთა პალატაში სამხედრო ვალდებულების კანონპროექტის პუნქტობრივად განხილვა წარმოებდა, კვლავ გრძელდებოდა მთავრობის პოლიტიკის სასტიკი კრიტიკა. სიტყვით გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა გალახერმა განაცხადა: „იმის ნაცვლად, რომ დამატებით 6 თვეს გვყავდეს არმიაში ჯარისკაცები, 6 თვით ისინი სახლების მშენებლობაზე რომ გაგვეგზავნა, რაოდენ დიდ სარგებელს მოუტანდა ეს ჩვენს სამშობლოს". ლეიბორისტმა ემრიო ჰიუზმა სამხედრო ვალდებულების კანონპროექტი დაახასიათა როგორც ლეიბორისტული მთავრობის გამცემლობა უბრალო ადამიანების მიმართ.

თემთა პალატამ ხმის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის კანონპროექტი, მაგრამ საკითხის განხილვამ მიიღო ლეიბორისტული პარტიის საგარეო პოლიტიკის კრიტიკის ხასიათი. უთანხმოება ლეიბორისტულ პარტიაში და მისი ერთი ჯგუფის პროტესტი მთავრობის სამხედრო ღონისძიებათა წინააღმდეგ ნათლად გამოხატავს ინგლისელი ხალხის სულიერ განწყობილებას.

მიუთითა რა ხმაურსა და აურზაურზე ყოველგვარი სამხედრო „კავშირებისა" და „ბლოკების" შექმნის შესახებ, ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს აღნიშნა „ნამდვილად ეს „კავშირები" და „ბლოკები" მიზნად ისახავენ ახალი აგრესიის მომზადებას და ახალი ომების გაჩაღებას, რომლებითაც დაინტერესებული არიან ესა თუ ის მმართველი წრეები და არა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხალხები". ხალხი მშვიდობის მომხრეა. „... მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას" (ი. სტალინი). მასების აღშფოთება გამოიწვია ინგლისის სამხედრო მინისტრის შინუელის სიტყვამ, რომელიც მან წარმოთქვა მიტინგზე მდინარე მერსეის ხეობაში ინგლისის ტერიტორიული არმიისათვის ჯარისკაცთა შეგროვების კვირეულის წინ. — „ომის გამჩაღებელო, დააბრუნეთ ჩვენი შვილები მალაიიდან!" — ასე მიმართა ხალხმა სამხედრო მინისტრს. პარლამენტის ლეიბორისტი წევრი ჰატჩისონი ამას წინათ ინგლის-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების მიერ მოწყობილ მიტინგზე შემთხვევით როდი ამბობდა, რომ ინგლისელ ხალხს არ სურს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირი, რადგან ამ გზით ის ვერ უზრუნველყოფს სხვაგვარ უშიშროებას, გარდა იმისა, რასაც სამარე იძლევაო.

ინგლისელი ხალხის სურვილი გამოხატა პროფკავშირულმა მოღვაწემ გრანტმა, რომელმაც განაცხადა: „დროა ჩერჩილის მიმდევრებს ახალი წკიპურტი გავარტყათ ცხვირში, ცხადად ვუჩვენოთ, რომ ინგლისელი მუშები არავითარ შემთხვევაში არ იბრძოლებენ რუსეთის წინააღმდეგ".

იოსიდა ამერიკელ მონოპოლისტთა მაამებლის როლში

ორიოდე თვის წინათ ბედმა უმტყუნა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ასიდას. ქრთამმა და მასების ინტერესების აბუჩად აგდებამ იმსხვერპლა ასიდას კაბინეტი. ახლა ასიდა მოგონებით ირთობს თავს საპყრობილეში. ასიდას პორტფელი იოსიდას გადაეცა. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი არ მოერიდა პოლიტიკური მოღვაწისათვის სამარცხვინო მოქმედებას, მან მორჩილად მოიხარა ქედი ამერიკელ მბრძანებელთა წინაშე და მიაღწია იმას, რომ ახალ კაბინეტში მიიღო პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და გენერალური პროკურორის პოსტები.

მთავრობის სათავეში ჩადგომისთანავე იოსიდა შეუდგა ამერიკელ მონოპოლისტთა ერთგულ სამსახურს, დაიწყო შეტევა პროგრესული ძალების წინააღმდეგ, ფართოდ გაუხსნა გზა უცხოეთის კაპიტალს, აბუჩად აიგდო მუშათა ინტერესები, მოითხოვა პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვა, მიიღო ჯერ კიდევ ასიდას მიერ შემუშავებული ანტიმუშური კანონი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ. მხოლოდ მაკარტურმა და ამერიკელმა მონოპოლისტებმა მოიწონეს იაპონიის პარლამენტის მიერ მიღებული ეს ანტიმუშური კანონი. თვით იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატაში 60 დეპუტატმა ხმა მისცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ ახალი კანონპროექტის წინააღმდეგ. გაზეთმა „აკახატამ" გამოაქვეყნა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა მუშისადმი ამ ანტიმუშური კანონის მიღებასთან დაკავშირებით. მიმართვაში ნათქვამია, რომ ეს კანონი არღვევს იაპონიის კონსტიტუციით გათვალისწინებულ მუშათა ელემენტარულ უფლებებს, მიმართულია იაპონიის დემოკრატიზაციის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს პროფკავშირების გათიშვასა და მუშათა კლასის განიარაღებას. იგი მთელ იაპონელ ხალხზე რეაქციის შეტევის ახალი ნაბიჯია. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს დაამხონ იოსიდას რეაქციული კაბინეტი.

დღითიდღე იზრდება იაპონელი მუშების მოძრაობა. ტოკიოში მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე აღმართეს პლაკატი წარწერით: „ძირს იოსიდას კაბინეტი!" „დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას პარლამენტი!" სიგერუ იოსიდას კაბინეტს იმთავითვე ცუდი ბედი დაჰყვა. 10 ნოემბერს 80 ათასმა მაღაროელმა 24 საათის გაფიცვა გამოაცხადა ტოხოკუს, ცუგოკუსა და კუსუს რაიონებში. მაღაროელები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. 15 ნოემბერს გაფიცული იყო 125 ათასი მუშა. ნოემბრის ბოლოს იაპონიაში გაფიცულთა რიცხვი 1 მილიონ კაცს აღწევდა. სულ ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლაში ამა თუ იმ ფორმით ჩაბმული იყო 5.700 ათასი კაცი. როგორც გაზეთი „აკახატა" წერს, მუშათა მოძრაობა ხასიათდება გაერთიანებულ ორგანიზაციათა შექმნით. ეს ორგანიზაციები იბრძვიან ხელფასის გადიდებისათვის. მიმდინარე წელს იაპონიაში სულ 244 გაფიცვა მოხდა.

მშრომელთა ამ მოძრაობას სათავეში უდგანან კომუნისტები. ამიტომ არის, რომ მთავრობას სასტიკი იერიში მიაქვს კომუნისტების წინააღმდეგ. ამასწინათ იოსიდამ მოითხოვა კომუნისტების ჩამოშორება პროფკავშირთა ხელმძღვანელობისაგან. მასიმაში უნივერსიტეტიდან გარიცხეს 30 სტუდენტი, რომელთაც ბრალი დასდეს კომუნისტურ მოღვაწეობაში. კომუნისტების მოგონება იოსიდას შიშს ჰგვრის. მათში იგი საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტებს ხედავს. ეს შიში თურმე იოსიდას 27 წლის წინათ ჩაუნერგა ლონდონში ვიღაც პოლიციელმა, რომელმაც იგი გააფრთხილა — საბჭოთა კავშირი იაპონიაში პროპაგანდისტებს გზავნისო. იაპონელ ხალხში იოსიდას ავტორიტეტი არა აქვს და მხოლოდ ამერიკელ მბრძანებელთა იმედი დარჩენია. ამიტომ ცდილობს იგი ისე იმოქმედოს, რომ თავისი ამერიკელი პატრონების ნდობა დაიმსახუროს.

ა. რჩეულიშვილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

(დასასრული)

სიტყვები სავსე იყო ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პროექტის გაძლიერებული ქებით. ისინი აქებდნენ დეკლარაციას, აქებდნენ ერთმანეთს მის შედგენაში მონაწილეობისათვის. მაგრამ ძალიან გულმოდგინედ დუმილით უვლიდნენ გვერდს პროექტის იმ კრიტიკას, [illegible]

წარმომადგენელმა ტაკეთა, ამ დეკლარაციის ფასი დიდი არ იქნება.

მანუილსკიმ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება, ის რომ დამაკმაყოფილებლად ყოფილიყო შედგენილი, ძალიან მიზანშეწონილია. მსოფლიოში სერიოზული ცვლილებანი მოხდა. სსრ კავშირში [illegible]

მოიწვიონ მოსახლეობის ფართო ფენებში. შეიძლება დაიწერონ დეკლარაცია და აივსოს იგი მრავალი ჰუმანური პრინციპით, მაგრამ ეს პრინციპები უნდა შევადაროთ თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ჩვეულებრივი ცხოვრების შავბნელ ფაქტებს.

კონკრეტული მაგალითებით კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე სინამდვილიდან მანუილსკიმ [illegible]

[illegible]

რომ საჭიროა უკამათოდ იქნას უარყოფილი პროექტის საბჭოთა შესწორებანი, და დამსწრეთ მოაგონა, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციამ უნდა უზრუნველყოს აზრის თავისუფლება, განხილვის თავისუფლება, და თუ დეკლარაციას ისე ტაიგებენ და განახორციელებენ, როგორც ეს ამერიკის შეერთებული შტატების [illegible] ექტს რედაქციას უკეთებდა, გვერდი აუარა ყველა ამ გარემოებას. ამ უმრავლესობის აზრი მიპყრობილი იყო წარსულისაკენ და არა აწმყოსა და მომავლისაკენ.

ახლა, თქვა მანუილსკიმ, ერთა ლიგის დრო აღარ არის, როცა შეიძლებოდა ფართო დაპირებების დარიგება, იმ შედეგების გაუთვალისწინებლად, რომლებიც შეიძლება მათ გა- [illegible]

მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ამის გამო უკრაინის სსრ დელეგაცია მხარს უჭერს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებას, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღება გადატანილ იქნას გენერალური ასამბლეის მეოთხე, მორიგ სესიაზე.

დისკუსიის გაგრძელება გადატანილია 10 დეკემბრის დილის სხდომაზე.

დიქტატის პოლიტიკით საერთაშორისო თანამშრომლობის შეცვლის ცდების წინააღმდეგ

სსრ კავშირის დელეგაციამ ამხილა „სასესიათაშორისო კომიტეტის“ წინადადებათა ნამდვილი არსი

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.) დღეს გენერალური ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა დაამთავრა განხილვა ე. წ. „სასესიათაშორისო კომიტეტის“ მოხსენებისა სათაურით „პოლიტიკურ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის მეთოდების შესწავლა“ და ამ კომისიის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციათა პროექტებისა. კომიტეტის წინა სხდომაზე გამოსულმა სსრ [illegible]

თანხმებელ კომისიაში. იურიდიული დავის წარმოშობისას მხარეები უნდა შეთანხმდნენ გადასცენ იგი საერთაშორისო სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თანახმანი არ არიან მიიღონ შემთანხმებელი კომისიის რეკომენდაციები დავის მოწესრიგების შესახებ, ეს მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დავა გადასაწყვეტად გადასცენ სამედიატორო სასამართლოს ხუთი მოსამართლის შემადგენლობით [illegible]

განხილულ იქნება არა უშიშროების საბჭოში, არამედ სხვადასხვა კომისიებში, რომლებსაც შექმნიან თვით მოდავე მხარეები უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით.

ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი“ ყოველნაირად ცდილობს შეზღუდოს უშიშროების საბჭოს რწმუნებანი საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში და ამავე დროს მიიკუთ- [illegible]

[illegible]

[illegible] წილეობის მიუღებლად სახელმწიფოთა შორის დავის მოწესრიგებისათვის მომხსენებლისა ან შემრიგებლის დანიშვნის შესახებ.

ამით ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა დაამთავრა მუშაობა. კომიტეტის დღის წესრიგში დარჩენილი საკითხები განხილული იქნება ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილზე.

შორეული აღმოსავლეთის კომისიაში

ვაშინგტონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც წინათ ვიუწყებოდით, შორეული აღმოსავლეთის კომისია ორ თვეზე მეტ ხანს განიხილავდა საბჭოთა წინადადებებს იაპონიის მრეწველობის განვითარების დონის შესახებ. განხილვის პროცესში მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა, მაგალითად ჩინეთის, ავსტრალიის, კანადის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს იაპონიის დემილიტარიზაციის საქმეში საბჭოთა წინადადებების [illegible]

მრეწველობის განვითარებას ისე, რომ შეკვეცილი არ იყოს რაიმე შეზღუდვით, და იაპონიის სამხედრო მრეწველობის აკრძალვას, მოწმობს იმას, რომ შორეული აღმოსავლეთის კომისიის უმრავლესობა სხვაგვარ პოზიციას იცავს ამ მნიშვნელოვან საკითხში. მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს საბჭოთა წინადადებებისათვის ხმის მიცემის შედეგი.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ აქ გამოთქმული მოსაზრებანი უსაფუძვლოა. უეჭველია, რომ საბჭოთა [illegible]

[illegible] სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ელჩმა პანიუშკინმა, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

„უარყოფა საბჭოთა წინადადებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ იაპონიის სამშვიდობო [illegible] ცალკეულ სახელმწიფოთა პოზიცია, რომელიც შორეული აღმოსავლეთის კომისიაში მათმა წარმომადგენლებმა დაიკავეს საბჭოთა წინადადებების განხილვის დროს“.

ჩრდილოეთ კორეიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის გამო

ფხენიანი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო იუწყება, ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების გაცილების მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ გვაცნობა, რომ საბჭოთა ჯარების გაცილებაში მონაწილეობა მიიღო 1.400 ათასზე მეტმა კაცმა. საბჭოთა ჯარების სახელზე შემოსულია ათეულათასობით წერილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებიდან, რომლებიც მოუწოდებენ საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

იშტვან დობი უნგრეთის პრემიერ-მინისტრია

ბუდაპეშტი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით შედგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც გადაწყვიტეს რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის წარედგინათ თხოვნა მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომის შესახებ.

პარლამენტის პოლიტიკურ კომისიის შემდგომ სხდომაზე წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის წარმომადგენლებმა წააყენეს თავისი ახალი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე. პოლიტიკურმა კომისიამ მიიღო წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის წინადადება პრემიერ-მინისტრის პოსტზე ამ პარტიის თავმჯდომარის იშტვან დობის დანიშვნის შესახებ.

დღეს პრეზიდენტმა დაამტკიცა უნგრეთის ახალ პრემიერ-მინისტრად დობის დანიშვნა. ამის შემდეგ დობიმ განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ მას განზრახული აქვს ძირითადად შეინარჩუნოს მთავრობის წინანდელი შემადგენლობა. მიწათმოქმედების მინისტრად დობის ნაცვლად დანიშნულია იშტვან ჩალა (წვრილ სოფლის მეურნეთა პარტია). ფინანსთა მინისტრის მოვალეობას წინანდებურად შეთავსებით ასრულებს ტრანსპორტის მინისტრი ერნე გერე.

დღეს უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არპად საკაშიჩმა ფიცი მიიღო უნგრეთის ახალი მთავრობისაგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების ოფიციალური შედეგები

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საბოლოო ოფიციალური ცნობები იმას მოწმობენ, რომ 2 ნოემბერს პრეზიდენტის არჩევნებში ტრუმენმა მიიღო 24.104.836 ხმა, დიუიმ 21.696.500, ტურმონდმა — 1.169.312, უოლესმა — 1.167.100 ხმა. რამდენიმე ხმა მიიღეს სხვა პარტიების კანდიდატებმა.

სულ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობდა 48.680.416 ამომრჩეველი. ამრიგად, ტრუმენმა მიიღო არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლები. ეს პირველი შემთხვევაა 1916 წლის არჩევნების შემდეგ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელმაც გამარჯვებას მიაღწია, ვერ მიიღო ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა.

1944 წელს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობდა 47,9 მილიონი კაცი, 1940 წელს — 49,8 მილიონი კაცი. ამრიგად, ამა წლის არჩევნებში მონაწილეობდა უფრო ცოტა ამომრჩეველი, ვიდრე 1940 წელს და ცოტათი მეტი, ვიდრე 1944 წელს, ომის პერიოდში, თუმცა საარჩევნო ასაკამდე მიღწეულ პირთა რიცხვი უკანასკნელი 4 წლის მანძილზე გადიდდა თითქმის 10 მილიონით.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 9 დეკემბერი. (საკდესი). თემთა პალატამ 218 ხმის უმრავლესობით 25 ხმის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება მესამედ წაიკითხონ კანონპროექტი ინგლისში სამხედრო სამსახურის ვადის ერთი წლიდან წელიწადნახევრამდე გაგრძელების შესახებ.

კანონპროექტის მესამედ წაკითხვისათვის მიცემული ხმების (თემთა პალატაში 640 წევრია) უმნიშვნელო რიცხვში შედის პარლამენტის კონსერვატორ წევრთა ხმები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლეიბორისტთა რიცხვი, რომლებმაც თავი შეიკავეს ხმის მიცემაში, ამჯერად უფრო მეტი იყო, ვიდრე კანონპროექტის მე- [illegible]

კომუნისტმა გალაჰერმა განაცხადა, მთავრობა რომ თავის დაპირებას ასრულებდეს, სრულიად არ იქნებოდა საჭირო სამხედრო სამსახურის ვადის 6 თვით გადიდება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ვადის 6 თვით გაგრძელება დაჯდება მნიშვნელოვანი თანხა, ხოლო როცა თემთა პალატაში აღიძრა ღრმა მოხუცთათვის პენსიის გადიდების საკითხი, ამისათვის ფული არ აღმოჩნდა.

გაზეთ „დეილი მეილის“ საპარლამენტო კორესპონდენტი ეხება კანონპროექტის სხვადასხვა მუხლის კრიტიკას და წერს, რომ ერთი კ- [illegible]

მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სავაჭრო დელეგაცია

10 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლუბსანი.

იაროსლავლის ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. პ. მიგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭ- [illegible] აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ს. ს. დაშიანი.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ წევრები მონღოლეთის მისიისა მოსკოვში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის იდამჟაბის მეთაურობით. (საკდესი).

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი

10 დეკემბერს გათამაშდა გადადებული პარტიები.

მაკაგონოვ-პეტროსიანის და სარქისიან-შიშოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. სოროკინ-ქარსელაძის პარტია სოროკინის გამარჯვებით დამთავრდა.

კვლავ გადადებულია ფირცხალავა-ბლაგიძის პარტია.

დღეს შედგება შეჯიბრების მეთორმეტე ტური.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება ქალაქის ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა სემინარის მეცადინეობა თემაზე: „საბჭოთა ვაჭრობა და ბაზარი. საკრედიტო-საფინანსო სისტემა“. მეცადინეობას უხელმძღვანელებს დოცენტი ზაჯაძე.

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „პოლიტსკოლის მეცადინეობის მეთოდიკა“. კონსულტაციას რუსულ ენაზე ჩაატარებს ნოლიანისი, ქართულზე — მირიანაშვილი.

13 დეკემბერს, საღამოს 8-დან 10 საათამდე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში ინდივიდუალურ კონსულტაციებს ჩაატარებს პროფესორი ცინცაძე.

13 დეკემბერს, საღამოს 8-დან 10 საათამდე, დოცენტი მრევლიშვილი ინდივიდუალურ კონსულტაციებს ჩაატარებს აგიტატორთათვის, სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესახებ.

ლ ე ქ ც ი ა

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ვ. გულისაშვილის ლექციას თემაზე: „ველების და ტყე-ველების ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა“.

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომის დარბაზში (ილია ჭავჭავაძის ქ. № 2) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის VIII პლენუმი.

15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ბერიას სახელობის კულტურის სახლში (1-ლი მაისის ქუჩა № 10) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის IX პარტიული კონფერენცია.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

[illegible]

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახელობის — 12-XII „ტრავიატა“ (დღისით), „სინათლე“ (8 აბ. 5 წარმ., ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის — 12-XII „პირველი ნაბიჯი“ (დღისით), „პირველი ნაბიჯი“ (9 სერ. 4 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—12-XII „მოძღვარი“ (დღისით), „მოძღვარი“ (6 სერ. 3 წარმ.);

გრიბოედოვის სახელობის — 12-XII „ლენინი და გორკი“ (დღისით), „ლენინი და გორკი“ (19 აბ. 3 წარმ.);

სომხური დრამატიული — 12-XII „კრვაცაგიკ“ (პრემიერა);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 12-XII „ნათელა“ (დღისით), „მარიცა“ (21 აბ. 4 ს.);

მოზარდ მაყურებელთა ქართული — 12-XII „ჩვენ გამოცდები გვაქვს“ (40 აბ. 10 ს., 45 აბ. 2 ს.), „ბაში-აჩუკი“ (49 აბ. 7 ს.);

კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული — 12-XII „შემოდგომა ტბაზე“ (101 აბ. 10 ს. 94 აბ 12-30 წ.), „თოვლის გუნდა“ (105 აბ. 5-30 წ.).

მესამე შემოსატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

[illegible]

შვილი ზინაიდა ლეონტის ასული ხაჩიძე, სიძე კონსტანტინე ეთმელიძე იუწყებიან მარიამ პეტრეს ასულ ხაჩიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-XII, 7 ს. გამოსვენება 14-XII, 4 ს. კვალის, 19.

[illegible]

ი. შუკაიძე, ი. ღლონტი, შ. ახმეტელი ი. ნასიძე, რ. ამირანაშვილი, ა. გოგელია იუწყებიან შოთა გორდელაძის დის ნადია ჩიხლაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII მაჰარაძეში.

ე. კაპანაძე, გ. გრიგოლია, ლ. შავდია, შ. ცინცაძე, ქ. ფეიქრიშვილი, მ. ნასყიდაშვილი, ა. კეზიანიძე, ე. ქაქვარაძე, ც. ყიფიანი, მ. ლაზარევი, თ. შოთაძე, მ. ლედუშაური იუწყებიან დალი კაკუშაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ანა, დები ელისაბედ და როზა, ძმა ლადო იუწყებიან თეოფილე იოსების-ძე რამიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-XII, 7 ს. გამოსვენება 14-XII, 5 ს. გრიბოედოვის, 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორი—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 12948